სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2012 წლის 17 ოქტომბერი

ქ. სამტრედია

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ივლისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი"-ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ივლისის №11 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №9, 11.08.2010, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.000149) შეტანილ იქნეს ცვლილება.
2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ივლისის №11 დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	**თანამდებობათა დასახელება**	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები** **თვეში (ლარი)**
1	საკრებულოს თვმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თვმჯდომარის მოადგილე	1900
3	საკრებულოს კომისიის თვმჯდომარე	1050
4	საკრებულოს ფრაქციის თვმჯდომარე	1050
5	აპარატის უფროსი	1290
6	მთავარი სპეციალისტი	560
7	წამყვანი სპეციალისტი	540

8	უფროსი სპეციალისტი	520
9	სპეციალისტი	500

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ივლისის №11 დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

	თანამდებობათა დასახელება	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები** **თვეში (ლარი)**
1	გამგებელი	2650
2	გამგებლის მოადგილე	1500
3	გამგეობის სამსახურის უფროსი	1290
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
5	გამგებლის თანაშემწე, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	790
6	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	1290
7	მთავარი სპეციალისტი	560
8	წამყვანი სპეციალისტი	540
9	უფროსი სპეციალისტი	520
10	სპეციალისტი	500

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 13 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ჯვარშეიშვილი**